წერილის ნომერი: **18-01192881302**
თარიღი: **15/10/2019**
პინი: **0139**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 7 ოქტომბრის N60-0119280186 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი), რომლითაც მოქალაქე გიორგი ბარამიძის განაცხადის (AR1699654) საფუძველზე მოთხოვნილია, შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენის „საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, ასმათის ქუჩა N32; ს.კ.: 01.72.14.037.047) (სზ-5) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის დამტკიცების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, დასარგავად შემოთავაზებული 14 ერთეული ნერგი (7 ძირი ჰიმალაის კედარი; 7 ძირი კავკასიური ცაცხვი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტით ასათვისებელ მინიმალურ საანგარიშო ფართობს (216 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარის სახეობები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

